ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 9-20

"23" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 75-ე მუხლის „ა.დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მოადგილის 2014 წლის 3 სექტემბრის №05.06.34 განკარგულების შესაბამისად შექმნილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის თანდართული დებულება.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის (შემდგომში - კომისია) საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს.

2. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და ამ დებულებით.

3. ამ დებულებაში ტერმინები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რაც მათ მინიჭებული აქვთ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, კომპეტენციის ფარგლებში:

ა) განიხილავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებათა პირობების ცვლილებასთან/გაუქმებასთან, სხვა შესრულების მიღებასთან, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების დადასტურებასა და აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

ბ) განიხილავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, სასამართლოსათვის/ არბიტრაჟისთვის წარსადგენი მორიგების აქტის პროექტებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

2. კომისიისათვის საკითხის წარდგენის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის თაობაზე, კომპეტენციის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო ან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

მუხლი 3. კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებები

თავისი ფუნქციების განხორციელებისას, კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომისიას და წარმართავს მის საქმიანობას;

ბ) თავისი ინიციატივით ან კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით, იწვევს კომისიის სხდომას და უძღვება მას;

გ) საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხმის უფლებით ან ხმის უფლების გარეშე, იწვევს სხვა უწყებების წარმომადგენლებს, შესაბამის ექსპერტებს და/ან სპეციალისტებს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ხმის უფლებით ან ხმის უფლების გარეშე;

დ) საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფო და სხვა უწყებებიდან გამოითხოვს საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტაციას;

ე) საჭიროების შემთხვევაში დაუშვებს ხელშეკრულების კონტრაჰენტს კომისიის სხდომაზე დასასწრებად;

ვ) წარმოადგენს კომისიას მესამე პირებთან ურთიერთობისას;

ზ) ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები

1. კომისიას საკითხები განსახილველად წარედგინება სააგენტოს მიერ, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები კომისიას წარედგინება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ.

2. კომისიის სხდომები მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის ან წევრთა 1/3-ის ინიციატივით.

3. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის მოწვევის ორგანიზებას, დღის წესრიგის შემუშავებას, კომისიის სხდომამდე კომისიის წევრებისათვის დღის წესრიგის მიწოდებასა და კომისიის სხდომის ოქმის შედგენას. კომისიის მდივანი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ხმის უფლების გარეშე.

4. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის მუდმივმოქმედ წევრთა ნახევარზე მეტი.

6. კომისიის თითოეული მუდმივმოქმედი წევრი, გარდა კომისიის მდივნისა, სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

7. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

8. კომისიის წევრებსა და ხმის უფლებით მოწვეულ პირებს არ აქვთ კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

9. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის მუდმივმოქმედი დამსწრე წევრები, ხმის უფლებით მოწვეული პირები და კომისიის მდივანი. კომისიის დამსწრე წევრის ან მოწვეული პირის განსხვავებული აზრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს.

10. კომისიის გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

11. კომისიის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი) კომისიის მდივნის მიერ წარედგინება კომისიის მუდმივმოქმედ წევრებს, მოთხოვნის შემთხვევაში - ასევე მოწვეულ პირებს.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

კომისიის დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

განმარტებითი ბარათი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 3 სექტემბრის №05.06.34 განკარგულების შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნა განპირობებულია არა მხოლოდ კომისიის მიერ განსახილველი საკითხების კომპლექსურობით, არამედ აღნიშნულ პროცესში ობიექტური სპეციალისტების ჩართვის აუცილებლობით, რათა დაცული იქნეს როგორც სახელმწიფო, ასევე ბიზნესმენთა ინტერესები. კომისიის შექმნა ასევე გამოწვეულია მომავალში გასაფორმებელი ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების პირობების ბუნდოვანება.

ა.ბ.) პროექტის მიზანი:

პროექტის მიღების მიზანია, შეიქმნას კომისია, რომელიც საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით მიიღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებათა პირობების ცვლილებასთან/გაუქმებასთან, სხვა შესრულების მიღებასთან, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების დადასტურებასა და აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული კომისია ასევე შეიმუშავებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან

დაკავშირებული, სასამართლოსათვის/ არბიტრაჟისთვის წარსადგენი მორიგების აქტის პროექტებს და მოამზადებს რეკომენდაციებს.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია განიხილავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებათა პირობების ცვლილებასთან/გაუქმებასთან, სხვა შესრულების მიღებასთან, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების დადასტურებასა და აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე განიხილავს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, სასამართლოსთვის/ არბიტრაჟისთვის წარსადგენი მორიგების აქტის პროექტებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტი კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

პროექტის მიღება არ წარმოშობს მუნიციპალიტეტის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

პროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.ბ) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო.

დ.გ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.